7025

პროლეტარელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოს

ორთშაბათი
27 აგვისტო
1941 წ.
№ 202 (6207)
ფასი 15 კაპ.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეჯი მოჯორები, მეჯი თვითმფრინავები!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დააჯილდოდა ქ. ე. ვოროშილოვის სახელობის № 18 ქარხანა საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვების დარგში მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ფრუნზეს სახელობის № 24 ქარხანა საბრძოლო თვითმფრინავების საავიაციო მოტორების გამოშვების დარგში მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დამსახურებისათვის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოდა № 18 საავიაციო ქარხნის მუშაკები და №№ 26, 24 და 16 მოტორშენებელი ქარხნების მუშაკები. ეს ჯილდო იმის მოწმობს, რომ საბჭოთა ქვეყნის მძლავრი სტალინური ავიაცია სულ უფრთდაუფრო მეტ ახალ ძალებს იკრეფს. მთელი საბჭოთა ხალხი მზფრავლედ ულოცავს საავიაციო მრეწველობის მუშაკებს, — იმათ, ვინც წეთელი არმიის სახელოვან ავიაციას აიარაღებს ათასობით თვითმფრინავებით, რომლებიც ანადგურებენ, ტყვიებით ცხრილავენ, პარდაპარი დაჯახებით სპობენ ფაშისტურ სეოვებს.

სტალინური ავიაცია არის ჩვენს ქვეყნის სიამაყე, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის საყვარელი ქმნილება, ჩვენი დიდი სტალინის საყვარელი ქმნილება. მეფის რუსეთს საავიაციო მრეწველობა არა ჰქონია. ბოლშევიკებმა იგი შეიქმნეს! ამახანაგა სტალინმა აღზარდა და გამობრძმედა საბჭოთა ავიაციის კონსტრუქტორთა—დიდი ნიჭის ადამიანთა კადრები, კადრები საბჭოთა პილოტებისა—უშიშარი შეკარნეზანა, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულნი არიან ჩვენი სამშობლოსი. ჩვენი მფრინავები საბჭოთა საავიაციო მრეწველობის კეთილხარისხოვანი, სიმაღალი, მტკიცე თვითმფრინავებით სპობენ ფაშისტთა თვითმფრინავებსა და ტანკებს, ჰიტლერული არმიის ცოცხალ ძალას და ჰიტლერელ ჰაერის მეკობრეთა ვერაგული თავდასხმებისაგან იცავენ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს.

გერმანიის პროპაგანდამ ჯერ კიდევ ომის პირველ დღეებში მოსპობილად გამოაცხადა მთელი საბჭოთა ავიაცია. ჰიტლერელებს თავიანთი მკეხარა გეგმები სინამდვილე ჰკონათ. მაგრამ ჩვენმა მფრინავებმა ეს ფაშისტური ლეგენდა გაჰაჯრწყლეს. ფაშისტური სვავები თავიანთ გზაზე ხვდებიან ათობით და ათასობით საბჭოთა თვითმფრინავებს. ეს ის თვითმფრინავებია, რომლებიც შექმნილია ჩვენი ინჟინრების, ჩვენი მუშების ხელით, საბჭოთა საავიაციო მრეწველობის სახელოვან მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის მიერ. ისინი გაკეთებულია საბჭოთა მასალით; ამ მანქანებით დაფრინავენ ჩვენი მფრინავები. ისინი უშიშრად ებრძვიან მტრის ავიაციას, მათ მძლავრი ეერიბები მიაქვთ ჰიტლერელთა ურდოებზე. ეს ეერიბები დღითიდღე კიდევ უფრო მაგარი, კიდევ უფრო ძლიერი, უფრო მძლავრი, უფრო შემძულარავი ეჭნება!

წეთელი არმიის ძალები მატულობს, მაშინ როდესაც ჰიტლერული არმიის ძალები ომის მიმდინარეობაში ილეგა და მცირდება. ამ ზრდის საფუძველია საბჭოთა ხალხის გმირული შრომა, ჩვენი ქვეყნის მძლავრი ინდუსტრია. ამ ზრდაში უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი საავიაციო მრეწველობის გაუნუკვეტელი ადამავლობა, მისი კადრები. ჩვენ დროზე ავადგეთ ჩვენთვის საჭირო მოტორშენებელი და საავიაციო ქარხნები. ჩვენ შეეძელით შეგვექმნა კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნოლოგთა, ოსტატთა და მუშათა მაგარი კადრები. ეს არის ჩვენი ძალა.

საავიაციო მრეწველობა, ისევე როგორც საბჭოთა ქვეყნის მთელი მრეწველობა, წეთელი არმიის ძალების მუდმივი და ყოველდღიური შეესებს გიგანტური რეზერვია. ამიტომ ჩვენი საავიაციო მრეწველობის მუშაკები არაჩვეულებრივი სიყვარულითა და უმადაღითო ენტუზიაზმით შრომობენ. მათ სრული უფლებით შეუძლიათ თავიანთ თავს უწოდონ სამამელო ომის გმირი მონაწილეები, ვინაიდან მათი მოტორები უნაკლოდ მუშაობენ, ვინაიდან მათი თვითმფრინავები ზორს, სწრაფად და მაღლა დაფრინავენ.

საავიაციო და მოტორშენებელ ქარხნებში ადამიანები ისე მუშაობენ, რომ დროს არ ითვლიან. ათასობითი მუშა სამართლიანად ეწოდება ორასი „ათასი“ და სამასპროცენტოსანი—ისინი არიან ადამიანები, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ ნორმის 200-300 პროცენტს ცვლაში. წყაროსავით სჩქეფს შემოქმედებითი რაციონალიზატორული აზრი, პოულობენ ახალ და ახალ შესაძლებლობას მოტორებისა და თვითმფრინავების გამოშვების გასაღიდებლად.

სამხედრო მრეწველობის სამუშაო დღე საქსა სტახანოვური შრომის სასწაულებია. რასაც წინათ თვეები უნდებოდა, იმას ახლა საათების განმავლობაში აკეთებენ. რაც წინათ „ტექნიკურად შეუძლებელი“, „ტექნიკურად განუხორციელებელი“ ეგონათ, იმას ახლა სწრაფად და კარგად ანხორციელებენ. ლენინის ორდენით დაჯილდოებული ფრუნზეს სახელობის მოტორშენებელი ქარხნის ერთერთ საამქროში მნიშვნელოვნად უნდა გაეფიდებინათ პროდუქციის გამოშვება. ყველა ტექნიკური გამოანგარიშებით გამოდიოდა, რომ ამისათვის საკირო ყო ახალი დაზგების დადგმა. მაგრამ ეს დროის დაკარგვას გამოიწვევდა. „ამან ქარხნის დირექტორმა ოსტატი გუროვი გამოიწვია და გულახდილად გააფრთხილა:

— თქვენ გეკისრებათ განსაკუთრებული ძნელი დავალება. სინჯეთ „ვიშრო“ უბანი გაიფარეთით ახალი დაზგების დაუდგმელად.

და ოსტატმა გუროვმა გამონახა დეტალების დამუშავების ახალი მეთოდი, რომელმაც ქარხანას საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაადიდებინა დამატებითი მოწყობილობის დაუდგმელად საამქროს სიმძლეავრე. ოსტატმა მიხეილ გრიგოლის-ძე გუროვი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით! ამხანაგ გუროვისთანა მუშაკები მრავალათასიანი საავიაციო მრეწველობაში.

ჰიტლერის გერმანიის ძალები ილეკა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ გამოლეკია. თაგხედი, კაღნერი მტერი თავის გასისხლეანებულ ტორტის ამეფის ჩვენ ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ. წინ ვვიძევს ჯერ კიდევ შეუბოვარი, სისხლისმდერელი ბრძოლები, რომლებიც მოითხოვენ მთელი საბჭოთა ხალხის არაჩვეულებრივ ორგანიზებულობას, უდიდეს სიმტკიცესა და გამძლეობას. წეთელ არმიას ესაჭიროება დღითიდღე სულ უფრო-უფრო მეტი თვითმფრინავები და ტანკები, ქვემეხები და ტყვიამფრქვევები, შაშხანები და ვაზები, ჭურვები და ყუმბარები. საავიაციო მრეწველობის მუშაკები ერთი წამითაც არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით! ილებენ რა ორდენს ამ კარგი მუშაობისათვის, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მეტს მოითხოვს მათგან. სრულიად შეუწყნარებელია ფაშისტური ბანდიტების ერთ-ერთ ბუნაგზე შეუბოვარ ბრძოლაში ჩამოგდებულ ბომბდამშენებელ ერთმანეთ ერთ-ერთ

ებრაელი ხალხის წარმომადგენელთა მიმართვა,

რომელიც 1941 წლის 24 აგვისტოს შესდგა მოსკოვში

24 აგვისტოს მოსკოვში შესდგა ებრაელი ხალხის წარმომადგენელთა მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა პროფესორმა ს. . მიხოელსმა, ებრაელმა პოეტმა პერეც მარკიშმა, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილემ, წითელი არმიის მებრძოლმა ერონიმ კუზნეცოვმა, ებრაელმა მწერალმა დავით ბერგელსონმა, რუსმა მეცნიერმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ინგლისის სამეფო საზოგადოების წევრმა, ტალინის პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ჰ. ლ. კაპი